

შპს ბეტსი

საიდენტიფიკაციო კოდი: 203834921

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის

შპს ბეტსი

საიდენტიფიკაციო კოდი: 203834921

**ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისთვის**

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	3
ფინანსური ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	9
3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები	9
3.2. სავაჭრო მოთხოვნები	10
3.3. მარაგები	10
3.4. ძირითადი საშუალებები	11
3.5. სავაჭრო ვალდებულებები	12
3.6. საგადასახადო ვალდებულებები	12
3.7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12
3.8. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12
3.9. შემოსავლის აღიარება	12
3.10. ხარჯების აღიარება	13
4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	13

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ბეტსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოდგენილი ოპერაციების შედეგებზე ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ✓ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ✓ გონივრულ მსჯელობაზე დაშეფასებებზე;
- ✓ განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული „მსს ფასს“ სტანდარტის შესაბამისად.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ✓ ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ✓ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოდგებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება „მსს ფასს“ სტანდარტის მოთხოვნებს;
- ✓ სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოდგებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 20 სექტემბერს.

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი:

/ ნინო ფერაძე /

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს ბეტსი

(ს/ნ : 203834921)

ფინანსური მდგომარეობა:

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	3.1	10,319	24,543	118,946
მარაგები	3.3	56,980	53,787	44,894
სავაჭრო მოთხოვნები	3.2	151,608	143,824	53,349
სხვა მიმდინარე აქტივები		41,621	44,873	232,187
ძირითადი საშუალება	3.4	4,733,318	4,951,349	5,173,946
არამატერიალური აქტივები		5,806	7,736	9,665
სულ აქტივები		4,999,652	5,226,112	5,632,987
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	3.5	80,630	45,801	75,559
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3.7	374,724	362,908	370,552
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3.7	4,510,071	4,730,765	5,200,962
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		15,222	24,242	22,980
სულ ვალდებულებები		4,980,647	5,163,716	5,670,053
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		1,403,783	1,403,783	1,403,783
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	3.8	(1,384,778)	(1,341,387)	(1,440,849)
სულ საკუთარი კაპიტალი		19,005	62,396	(37,066)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,999,652	5,226,112	5,632,987

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი:

/ ნინო ფერაძე /

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	01.01.2018- 31.12.2018	01.01.2017- 31.12.2017
ამონაგები	3.9	3,898,713	4,005,430
გამოყენებული ნედლეული და მასალები	3.10	450,256	503,630
პერსონალის ხარჯი	3.10	1,128,063	1,190,371
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	3.10	245,701	274,940
საკონსულტაციო ხარჯი	3.10	5,000	18,407
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	3.10	45,389	47,593
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	3.10	172,103	184,227
იჯარის ხარჯი	3.10	864,448	865,180
ცვეთა და ამორტიზაცია	3.10	222,252	231,395
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.10	360,078	373,711
საოპერაციო მოგება		405,423	315,976
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(125,013)	119,061
სხვა ფინანსური ხარჯი		(310,033)	(323,073)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(13,768)	(12,502)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(43,391)	99,462
მოგების გადასახადი			
მოგება / (ზარალი)		(43,391)	99,462

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი:

/ ნინო ფერაძე /

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	საწინააღმდეგო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
01 იანვარი 2017		1,403,783		(1,440,849)	(37,066)
პერიოდის მოგება				99,462	99,462
გადაფასების რეზერვი				-	-
დივიდენდის გაცემა				-	-
31 დეკემბერი 2017		1,403,783		(1,341,387)	62,396
პერიოდის მოგება				(43,391)	(43,391)
დივიდენდის გაცემა				-	-
31 დეკემბერი 2018		1,403,783		(1,384,778)	19,005

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი:

/ ნინო ფერაძე /

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	01.01.2018- 31.12.2018	01.01.2017- 31.12.2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	311,344	251,502
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5,280)	(31,931)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(355,919)	(346,136)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(49,855)	(126,565)
სავალუტო კურსის ეფექტი	35,631	32,162
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	24,543	118,946
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10,319	24,543

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი:

/ ნინო ფერაძე /

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბეტსი“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრში 19/12/1995წ;

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 01/09/2000 წ-დან;

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, გოგებაშვილის ქ. №21ა

ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მაყაშვილის ქ. №32/34

საიდენტიფიკაციო ნომერი: 203834921

დამფუძნებლები: 1) სტეფენ ბოდინ ჯონსონ, 488552827, 01017039780 /აშშ/ - 70%
2) მარკ მეო მალენი, 01991002447, 452069716 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, აშშ/ - 20%
3) როლანდ სანდაძე, 01007007053 - 10%

დირექტორი: სტეფენ ბოდინ ჯონსონ, 488552827, 01017039780 /აშშ/

შპს „ბეტსის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასტუმრო მომსახურება; ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი სრულად: 55101

2.მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „ბეტსის“ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩთვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ეკვივალენტების ნაშთი გადაანგარიშდება საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის 31 დეკემბერისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების/ხარჯების ანგარიშში.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს		
	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2.6468
ევრო	3.0701	3.1044	2.794

კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

	ანგარიში	01.01.2018	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1110	9,033	8,155
საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში (GEL)	1210	15,380	543
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (USD)	1220 01	49	1,620
საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (EUR)	1220 02	81	1
სულ ფულადი სახსრები:		24,543	10,319

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად.

აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3. მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16-სა და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით ანუ ნარჩენი საბალანსო ღირებულებით.

ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდისბოლოსთვის:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	ღირებულება	აკუმულირებული ცვეთა	ნარჩენი ღირებულება
სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	3-10	119,065	75,655	43,411
ელექტრონული მოწყობილობები და კომპიუტერული აღჭურვილობა	3-12	196,708	128,644	68,063
შენობა - ნაგებობები	20 - 25	5,920,816	1,677,772	4,243,044
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი		378,000	-	378,800
		6,615,389	1,882,071	4,733,318

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

3.5. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების განწევასთან დაკავშირებით.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2018 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადხელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.7. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც განეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.8. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება/დაგროვილი ზარალი, რომელიც ასახულია მის ბალანსში. კომპანიას არ გაუცია დივიდენდები.

3.9. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- ✓ კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ✓ შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ✓ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ✓ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღირიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებებით.

3.10. ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2018 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ისეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

„შსს ფასს“ სტანდარტზე კომპანიის გადასვლის თარიღია 2018 წელი

დირექტორი:

/ სტეფენ ბოდინ ჯონსონ /

მთ. ბუღალტერი

/ ნინო ფერაძე /